# ტექნიკური დავალება
# ტორკრეტ-ბეტონის ნარევის მომზადების დანამატებზე

**ტექნიკური მოთხოვნები დანამატების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ტორკრეტ-ბეტონის ნარევის მომზადებისას (სუპერპლასტიფიკატორების მიმართ):**

1. ფორმა - სითხე
2. დანიშნულება - სუპერპლასტიფიკატორი რეოპლასტიკური ბეტონის ნარევისათვის
3. ფუძე / შედგენილობა - პოლიკარბოქსილატის ეთერების წყალხსნარი
4. pH = 6 +/- 0,03
5. შესაბამისობა EN 934-2
6. სიმკვრივე 1,05-1,10 გრ/სმ$^3$
7. ეფექტური დოზა 0,6-1,5% შემკვრელის მასაზე

**ტექნიკური მოთხოვნები შეკვრის (გამყარების) მაჩქარებელი დანამატების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ტორკრეტ-ბეტონის სამაგრის  ამოყვანისას:**

1. შეკვრის (გამყარების) მაჩქარებელი უნდა მიეკუთვნებოდეს არატუტეთა ჯგუფს
2. ფორმა - სითხე სუსპენზიის სახით
3. გამოყენების სფერო - მუდმივი ან/და დროებითი ნაშხეფ-ბეტონის სამაგრის ამოსაყვანად
4. მაჩქარებელმა არ უნდა შეამციროს ნაშხეფ-ბეტონის სამარკო სიმტკიცე
5. ფერი - ჩალისფერიდან ნაცრისფერამდე
6. სიმკვრივე 1,43 გრ/მლ (+/- 0,03)
7. pH = 3 +/- 0,03
8. ქლორის იონების შემცველობა Cl 0,1% -ზე ნაკლები
9. ტუტე იონების შემცველობა 0,5%-ზე ნაკლები
10. ეფექტური დოზის სიდიდე 3-8% (შემკვრელის მასისა)
11. აქტიური ნივთიერების რაოდენობა არა ნაკლებ 30% (ალუმინის სულფატი), Al2O3 შემცველობა არა ნაკლებ 18%-ისა.

**12. შეკვრის დაწყება (1% სუპერპლასტიფიკატორის და 7% მაჩქარებლის შეყვანისას):**

12.1 სუფთა კლინკერის საფუძველზე წარმოებული ცემენტის გამოყენებისას - არა უგვიანეს 3 წუთის შემდეგ;
12.2 მინერალური დანამატების მქონე ცემენტის გამოყენებისას - არა უგვიანეს 3,5 წუთის შემდეგ;
12.3 სულფატმდგრადი ცემენტების გამოყენების - არა უგვიანეს 4,5 წუთის შემდეგ.

**13 ბეტონის შეკვრის დასრულება (1% სუპერპლასტიფიკატორის და 7% მაჩქარებლის შეყვანისას):**

13.1 სუფთა კლინკერის საფუძველზე წარმოებული ცემენტის გამოყენებისას - არა უგვიანეს 7 წუთის შემდეგ;
13.2 მინერალური დანამატების მქონე ცემენტის გამოყენებისას - არა უგვიანეს 8 წუთის შემდეგ;
13.3 სულფატმდგრადი ცემენტების გამოყენების - არა უგვიანეს 10 წუთის შემდეგ.